

# ივერია

გაზეთის დასაყვეთად და ყველა განცხადებასა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თეოდორე ლაქციას, ანალო-ბუბუოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შავრდოვი ს. საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიჭოვის წიგნების მაღაზიებს.  
უასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

## გაზეთი „ივერია“ ქალის იკლისილამ წლის დამლუგებელია 6 მან.

ტფილისი, 24 ივნ. სს

ქალაქებს მინიჭებული აქვთ უფლება მინაურის, ესე იგი, საქალაქო საქმეების თვით-მმართველობითი გამგეობა. იმ საწყაობში, რომელითაც მიწუკულია ქალაქისათვის საგნები გამგეობისა, მოქცეულია უფრო შემოსავალ-გასავალი ქალაქისა და ამ შემოსავალ-გასავალის კვალობაზედ სარბიელი აქვს მოფარგლული ქალაქის საკეთილდღეო მზრუნველობისათვის. რაკი ქალაქის გამგეობის ხელშია შემოსავალი და გასავალი, მამასადამე მის ხელშივე უნდა იყოს როგორც წყარო შემოსავლისა, აგრევე ადნიშვნა იმ საგნებისა, რომელიც ხარჯსა და ბორჯს ითხოვს. ამისდა მიხედვით, ქალაქის კარგი გამგეობა იმის ცდაში უნდა იყოს, რომ შემოსავალს უმატოს სხვა-დასხვა სახსართა ადამიანთა რამოდენადაც კი შესაძლოა მცხოვრებთა შეუწუხებლად და ეს შემოსავალი ქალაქსავე მოახმაროს ისეთის წინდახედვით, სიფთხილით და დაზოგვით, რომ ქალაქისათვის ხარჯის მძღვევლთა იგი სიკეთე მოიპოვონ ქალაქის ერთიანის და საზოგადო ძალითა, რასაც ცალკე კაცი ვერასთერ დონით ვერ მოიპოვებს, ბევრიც რომ ეცადოს. ამ ნაირად ხარჯვა ქალაქის ფულისა უპირველესს მოვალეობას შეადგენს ქალაქის კეთილ-მოსურნე გამგეობისას და ამას გარედა უფრო ხარჯი გაფანტვა და გაფლანგვა ქალაქის ქონებისა და დიდ ცოდვად უნდა ჩათვალოს გამგეობასა. უკველივე მოქმედება გამგეობისა, ქალაქის განკარგვისა და მის მცხოვრებთა კეთილ-დღეობაზედ მიქცეული, სწორედ ამ მხრით უნდა გაისინჯოს და აწონილ იქმნას. სხვა საწყაო ქალაქის გამგეობის ავკარგინაობას, ჩვენის ფიქრით, არა აქვს.

გეობა და სად სულიერი წყურვილი ქალაქში მცხოვრებთათ. ხოლო ჩვენ ვუპასუხებთ, რომ თუ ჯან-მრთელობა ხორცისა საცილობელ საგნად არ არის აღიარებული ქალაქის გამგეობისათვის, ჯან-მრთელობაც სულისა ნაკლებსა ნატრედ არ უნდა იყოს იმავე გამგეობისათვის, რომელსაც უკველს შემთხვევაში ადამიანთა აქვს საქმე. ადამიანის სულისაც ბევრი იმისთანა საჭიროება და მოთხოვნილება აქვს, რომელსაც იგი ცალკე დონით ვერა წამდის ვერ დასდებს და აქ რომ საზოგადო წყურვილს არ მოახვედლოს გამგეობამ საზოგადო დონე და სახსარი, გვგონია, თუ ცოდვად არა, ცდომად მაინც უნდა ჩათვალოს გამგეობასა.

ადამიანს მართლაც ის არ აცხოვრებს ადამიანურად, რომ კაი პური იუიღებოდეს ქალაქში, კარგი ხორავი, სუფთა და ფაქიზა ქუჩები ჰქონდეს და სხვა ამ გვარი; ადამიანს ისიც უნდა, რომ კაი გასართობი და დროს გასატარებელი ადგილიცა ჰქონდეს, სადაც შესაძლოა იყოს გულსაც კაი საზრდოება მისცეს და სულისაც დასადაც დღეში ორ-სამს საათს დღის უწმინდურს ვაი-ვაგლანს იფიქრებდეს, სულისაც და ხორცსაც ასვენებდეს სასიამოვნოდ და უწყინარის გასართობითა. ერთი ამ გვარი სულისა და ხორცის მარგებელი გასართობი თეატრია — ეგ საჯარო ადგილი ადამიანის დირსების შესაფერის სიამოვნებისა და სიტუბოებისა. დღეს ქუთაისის ქალაქს დიდი კამათობა და ცილობა აქვს თურმე ამ საგანზედ და ჩვენის ფიქრით, საგანი მეტად საყურადღებოა მრავალ-კაცად. ამიტომაც ძალიან მოხარული ვართ, რომ თვით ქუთათელითა ეს საგანი ამ სახითვე უცვლიათ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საგანს ჩვენ, სხვა-დასხვა მიზეზისა გამო, იმ მხრიდან შუქს ვერ მივაყენებთ, რა მხრითაც ერთობ თეატრის საქმე ჩვენთვის მეტად ძვირფასს საგანს წარმოადგენს. ამ ხელ-მოკლეობაში ჩვენ იმითა ვნუგეშობთ, რომ ქუთაისის ბევრი იმისთანა დაწინარებული კაცი ჰყავს, რომელსაც ჩვენზედ უკეთესად ესმის რამოდენად ძვირად უნდა გვიდირდეს ჩვენ ჩვენი საკუთარი თეატრი. რაკი ესა და რაკი თეატრის საქმე დღეს ქუთაისის საბასა და საგამათო საგნად განდობია, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ცნობიერი აზრი მიხვედრილთა კაცთა გაიმარჯვებს და თეატრის სასიკეთოდ საქმეს თავის შესაბამს გზაზედ დააყენებს.

ჩვენ სრულიდით არ ვაკვირვებ, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობას უარი უთქვამს ბ-ნ ვარლამ ჭილაძისათვის. ამას იმიტომ-კი არ

ვამბობთ, რომ ბ-ნ ვარლამ ჭილაძეს რაიმე წუნსა ვსდებდეთ. პირ-იქით მის მიერ წარდგენილნი პირობანი გაცილებით უკეთესად მიგვაჩნია, ვიდრე ბ-ნ ხარაზოვისა და მის მომდევარისა და თვით ბ-ნი ჭილაძეც პირადად საიმედო და სარწმუნო კაცია. ჩვენ აქ იმისი თქმა გვინდა, რომ ქალაქის გამგეობა საზოგადო საქმეს დასცარავს, თუ ცალკე კაცს დაუთმობს თავის სათეატრო ადგილსა და თვით ქალაქი არ აშენებს საკუთარს ხარჯით ერთს ღამასს საქალაქო თეატრს. თუ ეს აზრი ჰქონდა გამგეობას, როცა უარი უთხრა ბ-ნს ჭილაძეს, ეს აზრი სრულის თანაგრძნობის და მოწონების დირსია და სწორედ მოგახსენოთ, თუ ამით არა, სხვა გზით აუხსენელია იგი უარი ჯერ ხანად მაინც, იმიტომ-რომ უარის მიზეზი გამგეობას არ გამოუცხადებია და გარდა შემოსენებულისა სხვა მიზეზი ვერც ჩვენ გვიგულისხმია.

ჩვენის ფიქრით, დიდსა და სახელოვანს საქმეს იქმნდა ქუთაისის ქალაქის გამგეობა და საბჭო, რომ ამ საგანს დრმად დაჰკვირვებოდა; იგი სათეატრო ადგილი საქალაქოდ დაეგდო; თუ საჭიროა, გარშემო ადგილებიც შეესუიდა, რომ საკმაოდ ფართო ადგილი ჰქონდეს თეატრს და თვით ქალაქის ხარჯით აშენებინა ერთი პატარა და ღამაზი თეატრი. იქნება დღეს ქალაქს დონე არ ჰქონდეს უკველ ამისათვის, მაგრამ ამან არ უნდა დააბრკოლოს. თეატრის აშენება სადღე-ხვალითა საქმე არ არის, ეგ სამვილის-შვილო საქმეა და სახელოვანი საქმეც. დღევანდელმა ქალაქის გამგეობამ, რომ ამ საქმეს საძირკველიც გაუჭრას, ესე იგი, დასაწყისი დაიწყოს, ისიც დიდი საქმე იქმნება. აი რამდენი წელიწადია ტფილისში აშენებენ თეატრს და ვერ აუშენებიათ ჯერ. დიდი სირცხვილი არ იქნება ქუთაისისათვის, თუ დღეს მისი დონე ვერ გასწავდება ამ სახატრედს საქმეს, ხოლო ამის თავ-დარიც კი რომ შეუდგეს დღესვე, მეტი არ იქნება და საბედობედდეს საქმესაცა იქმს. რა თქმა უნდა, მინამდეკი საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ დღევანდელს თეატრში წარმოდგენანი არ შესწუდნენ და თვით დღევანდელი თეატრი იმოდენად უნდა შეკეთდეს და მოეკაროს, რომ თავისი დანიშნულება ცოტად თუ ბევრად ადასრულოს, ვიდრე ქუთაისის ქალაქი თავის სასახელოდ და საყოველთაო ჩვენდა სასიხარულოდ ახალს თეატრს დასდგამდეს.

ჩვენი გულ-წრფელი აზრი ეს არის: არამც და არამც ქალაქის

გამგეობამ სათეატრო ადგილი და თვით თეატრი კერძო კაცის ხელში არ ჩააგდოს; თვით საქალაქოდ აშენოს თეატრი და რაც გინდა ფული დაუჯდეს ქალაქსა, გამგეობა ამას არ შეუშინდეს. ამისთანა საქმეში დახარჯული ფული მრავალ კაცად გამოადგება ქუთაისს, რადგანაც თვითონ თეატრი, როგორც ზემოდა ვსთქვით, მრავალ-კაცად გამოსაყენია. აქ ჩვენ ფულით ფულის მოგებას კი არ გვუღიანებობთ, არამედ იმას, რაც ფულზედ ერთი ასად უფრო დირებულისა და ერთი ასად უფრო სანატრელი.

### ახალი ამბავი

\* \* \* სიამოვნებით უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ჟამად ტფილისის სამკურნალოში ყოვლად რიგიანი წესები დაუდგენიათ. იქამდე უწესოება იყო, რომ ავად-მყოფი იპარებოდა მოჩინისათანავე ფულ გადუბდებოდა, ეხლა საღამოს 9 საათს შემდეგ კარებებსა ჰკეტავენ და თუ არა რაიმე საპატია მიზეზი არაყის უშვებენ. მოსამსახურეებიც უფრო რიგიანად და თავზიანად ექცევიან ავად-მყოფებს, ვიდრე ადრე იყო, როცა დღე არ გავიდოდა, რომ მოსამსახურეს და ავად-მყოფს ჩხუბი არ მოსელოდათო. ერთად ერთი ნაკლი ამ სამკურნალოსი ეხლა მხოლოდ აღვიღების სიკოტავეოა, ასე რომ ხშირად მიიმე ავად-მყოფს გააბრუნებენ ხოლმე ულაგობის გამო. მიუაქცევთ ქალაქის გამგეობის ყურადღებას ამ გარემოებაზედ და იმედია, რომ რაიმე საშუალებას იხმარებს მის განსაკარგებლად.

\* \* \* ჩვენ გვთხოვენ გამოაცხადოთ, რომ ვერის ქართულის სასაფლაოს ყარაულის წრეს გადასულს ქვეყანს სამზღვარი არა აქვსო. ეს ვაჟ-ბატონი მეტად უწესოდ ეყრება თურმე იქვე მოსახლე საწყალ ვერელებს, ცხვარი მოხედეს, ქათამი თუ სხვა რამ შინაური ცხოველი წააღებებს ხელსა და ვიდრე ჯარიმას არ გადახდის, რომ მათი საქონელი სასაფლაოზედ გადავიდა — არ მოეშვება. ცხვარს ბალახის ძონას აბრალებს, ქათამებს საფლავის თხრასაო და შარს უდებსო. ამას გარდა, აც თავის მოვალეობას ასრულებს თურმე რიგზედ ეს ვაჟბატონი, საფლავებს ქვებს აცლიან, მოაჯირეები და ხეხილებიც დამტვრეულიო.

\* \* \* სიცხებისათანავე ჩვენმა ვაჟ-რემ-მელუქნებმა დაიწყეს თავიანთ დუქნის წინ მოაწყევა. ისე ატალახებენ, მაგალითებრ, გოლოვინსკის პრასპექტს, რომ კაცს და უმეტესად მანდილოსანს არ გაველებს, რომ არ გაისვაროს. ნეტავ როგორც რიგია, ისე მაინცა რწყადნენ, ისე ასხავენ

აქეთ-იქით წყალს, რომ ხან ერთს გამველეს უნდა მისხან, ხან მეორეს და ამის გამო ხშირად ჩხუბიცა ხდება.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ პატარა წიგნად დაბეჭდილი «წესნი და პროგრამა საკომერციო კურსებისა», რომელნიც დაუმტკიცებია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს ბ-ნს იანოქსის. ეს „კურსები“ დაარსებულია ტფილისში მანუელიანის საგან 1882 წელსა. კურსებზე მსურველი სწავლობს ყოველგვარ საეაქრო საგნებსა და ვაჭრობაში გამოსადგეს საქმესა: ანგარიშსა, კომერციულ ეკონომიას, კომერციულ არითმეტიკას, ბუხგალტერიას, კომერციულ მიწერ-მოწერას, საეაქრო და სათამაშუკო წესდებასა და მართლსა და მსწრაფლ წერასა. კურსები გაუთავებია 1882-დამ 1885 წლამდე 24 კაცსა. ამათში 2 ქართველი ყოფილა, დანარჩენთაგანი სომხები და ერთი რუსის ქალი. ამ წელს კურსებზე სწავლობს 22 კაცი.

\* \* \* მეტად ბევრი ჩამოაქეთ ამ ჟამად ქალაქში თათრული ყველი შეიღანწედ, მაგრამ უმეტესად კინტოებსა და ბაყლებს უფარდებთ ხელში. კინტოები ორ მანათად, ორ-დაათ შაურად ყიდულობენ და მცხოვრებლებზე კი თერამეტ აბახადა ჰყიდიან ფუთსა, მთიულებმაც დაიწყეს ერბო-კარაქის ჩამოტანა, ერბოს მახანდა ხან თუმანწედ დგება, ხან თერთმეტ მანათზე ფუთი.

\* \* \* ამ დღეებში მოცილიან ტფილისში ბელიდიდან გამოგზავნილს წყლის გასაყენ მიღებს. უმეტესი ნაწილი ამ მიღებისა უყვე ფოთშია ჩამოტანილიო. ქალაქის გამგეობას განკარგულება მოუხდენია მათი ტფილისში ჩამოტანის თაობაზედ.

\* \* \* მეტად უჩივიან ავლაბარში პეტრე-პაულეს და წმ. ანტონის ქუჩებს, რომელთაზედც ფაიტონებს არ შეუძლიანთ სიარულიო.

\* \* \* სვიდაბითის უბნელები ძალიან უჩივიან უსუფთაობას. სურბ-სარგისის ეკლესიიდან მოყოლებული თითქმის ძველ-დამოწმად ყველგან სისუფთავეა, მშვენიერად მოკირწყლული ქუჩებია და სხ. მაგრამ ჩახედვით თუ არა ცოტა ქვემოლ-ხარუფსა და შვითან-ბაზარ შორის, სადაც დაბლები მუშაობენ, ისეთი ოკრო-ბოკრო და ჩახრამული ქუჩებია, ნაგების გროვა, წუმპეები, რომ კაცს გაუვირდება, როგორა სცხოვრებს აქ ხალხიო. ამას გარდა თითქმის ისე საღამო არ დადგეს, რომ ამ უბანში ერთი ჩხუბი, აყალი-მაკალი და დავი-დარაბა არ იყოს ხოლმე. საბრალო ღარიბი მცხოვრებლები დაფთვითანებულები არიან და მოსვენება არა აქვთ ამ ჩხუბისა და ვა-ვაგლახისაგან.

\* \* გუშინ, ვაზ. ან. მიმ. ს. სიტყვით, ერეკლის მიდამოებზე, პოლიციის სადგომის წინ ლაპარაკი მოსვლიათ სამსახურ გარეშე მყოფ პოლიკოვნიკს ლ. და სამს თავად ბ. გინებისა და ლანძღის შემდეგ ერთს თავდათავანს სახეში დაურტყამს — სთვის და მეორეს კიდევ მისის ძირს გდებულის ქუდისთვის პანჩური ამოუყრავს. საქმე ჯონების ტრიალამდე მისულა. ხალხი მეტად ბევრი დახვედია მოჩხუბართა. წესიერება პოლიციის მოხელეთ ჩამოუგდიათ.

\* \* 22 ივნისს, იარმუკაზე ვიღაც თათარი თავისავე გაუფიქრებლობით ფაქტონს ქვეშ ჩავარდა და ფაქტონმა ფეხზე გადაუარა. მფაქტონე დატუსაღებულია და დაშავებული გი სამკურნალოშია გაგზავნილი.

\* \* სოფ. თონეთიდან (ტფილისის მახრა) გვწერენ: მანგლისის თათრებისა და ოსების წყალობით დიდი ხანია ჩვენს სოფელში ხდება ქურდობა. შარშან მანგლისის გზა ტყვეობაზე ბევრს მგზავრებსა სკარცვანდენ ავაზაკები, მაგრამ ადგილობრივის აღმინისტრაციის მეცადინეობით მოსპოლ იქმნა. ახლა კიდევ დაიწყეს, ამ თიბათის 15-ს ერთს ჩვენ სოფლის საწყალ გლეხს ხუთი სული გუთანის ხარკამგები მოჰპარეს. პოვნის იმედი არ იყო, მაგრამ დიდ-თონეთის სოფლის მამასახლისის დიმიტრი წაემი-შვილის შემწეობით ეს დაკარგული საქონელი ოსების მახლობელ სოფელში იქმნა აღმოჩენილი. ქურდებდალ ერთს თათარს და ერთს ოსს ასახელებენ.

\* \* ლენქორანიდან მოუწერისთ, აქაურის ტუსაღების მდგომარეობა სწორედ რომ ყურადღების მისაქცევია. ერთს პატარა ოთახში ათი, ხუთმეტრ კაცია დამწყვედული. ამის გამომართად ავადა ხდებოდა. ტუსაღებისთვის სამკურნალო არ არის გამართული და სწყურია და ჯან-მრთელი ერთად არიან დატუსაღებულნი, რის გამოც ხშირად ჯან-მრთელიც ხდებიან ავადა. ტუსაღებში მეტად გავრცელებულია სურათი. სამაზრო სახაზინოსა და ციხეს ერთი ეზო აქვთ და დიდ შიშშია ხაზინა, მით უფრო, რომ არც ჯარის კაცები ჰყავთ საქირა ლიციხე, რომ რიგზე ადვენონ თვალ-ყური ტუსაღებსა.

\* \* ჩვენ გვწერენ ჯავახეთის ახალ-ქალაქიდან: აქ, ახალ-ქალაქ საბორჯომო მთებში, დიდი შიშინაობაა; გვარდნილია აქ ერთი ყაჩაღი (თარაქამა) ჰურიან-მოლა-ოღლი, რომელიც არ აძლევს მოსვენებას ამ მთებში გზად მიმავალს ხალხსა. ამ ყაჩაღს, როგორც ვიცით, ჰპრალდება ერთი ახალ-ქალაქელის ეპარის ბიჭიკოვის მკვლელობა. 1883—1884 წ. ბევრი სდიეს ამ ყაჩაღს, მაგრამ ვერ დაიჭირეს; ეხლა ისევ გაჩნდა და დაუწყო ხალხს ცარცვა. იმედ უნდა ექონიოთ, რომ აქაური პოლიცია აგეცილებს ამ საშიშვლეს ყაჩაღსა და ბოლოს მოუღებს ცარცვა-გლეჯასა.

\* \* სოფელს კოთელიაში, ახალ-ქალაქის მახრაში, როგორც გვატყობინებენ, ივნისის 10 დასახულავეს ოც-და-ერთის წლის ყმაწვილი კაცი, გიორგი ალექსისძე ბერიძე, განსვენებულმა შარშან შესარულა სწავლა ტფილისის რეალურს სასწავლებელში. იგი ერთს წელიწადს კიდევ დარჩა უკანასკნელს კლასში, რომ

კარგად მომზადებულიყო და უმაღლესს სასწავლებელში ისე შესულიყო. განსვენებული ძალიან ჰკვიანო ახალ-გაზდა იყო და რომ სიკვდილს სიტოტბლე არ მოესწრაფებინა, სასარგებლო წვერი მოგვემატებოდა.

\* \* ახალ-ქალაქის მახრიდან გვწერენ: «ყანა ჯერ დაბალია; ქერები ჯერ ისევ თავ-თავშია აქაურს გლეხებს რომ ჰკითხოთ, მოსავალი წლეულს ძირიელ მდარეო. წვიმები კი არ აკლია; სეტყვა, ღვთის მადლით, ჯერ არ გვწვევია.»

**მუთისის თეატრის შემობა**

ივერიის № № 125 და 133 წერილში და ფელტონში წავიკითხეთ ქუთაისის თეატრის შემობის შესახებ რამდენიმე აზრი და გამოარკვევით-კი ვერაფერი გამოვარკვეით.

მარტო საყვედურია ქუთაისის ქალაქის გამგეობაზე. რაც შეეხება ეხლანდელს გარემოებას ან თეატრისას, ესე იგი წარმოდგენათა მსვლელობას, ან შემობის მდგომარეობისას, ამის აღწერა, გასინჯვა და დაკვირება არავის მოუფიქრია და აქამომდე მიყრუებულია.

ამ წელს, როგორც გავგეგონია და ორიოდ სიტყვა გავკრით თქმულა, ქუთაისში თურმე თეატრი იყო, ქართული წარმოდგენა იმართებოდა, მაგრამ რა იყო, როგორ იყო, ცარიელ დარბაზში სწარმოებდა თამაშობა პიესებისა აქტიორების სასამოვნოდ, თუ მაყურებელიც ჰყავდა, ნამდვილი ხელოვნება სჩანდა, თუ ბალავანი იყო, — ესეები არავინ იცის, არავის წაუყრია ხევი და ვაზეთებში და საქმე წაყრუებულია.

ახლა უეცრად რაღაც აშავეი გამოტყვრა. გამოჩენილა კაცი (დიად პატივ-საცემი და კეთილ-სამიელი), თეატრის შემობა მე მომეცითო.

— რა თეატრი, რის თეატრიო?

— უთქვამს ქალაქის გამგეობასა.

ერთმა კვირამ მეტმა გაიარა გამგეობისაგან გადაწყვეტის შემდეგ და ქუთაისიდან არავითარი აშავეი არ მოსულა, სანამ ისევ ტფილისელმა მეფელეტონემ ხმა არ ამოიღო. რა თქვას, რა წინადადება აქვს გამგეობას საბჭოში შესატანი, ამ ამბის მოთხრობა არავინ მოისურვა რომლისავე გაზეთისათვის. ამ საქმეზე პირველად ხმის ამოღება წინა დღით იქნა, საბჭოს გარბევას რომ ელოდნენ. საგანი წაყრუებული იყო, წაყრუებით მოეპყრნენ და გამგეობასაც წაყრუებინეს.

ვილას უნდა მიემართოთ სამღურავი, თუ არ საქმის წარმატების მსურველთა, რომელთაც ჰგონებოთ შინაურულად მოლაპარაკებით საქმის მოწყობა და გათავება?

არა, ბატონებო, საზოგადო საჩენი საქმე, როგორც თეატრია, აგრე წაყრუებით და ხელ-და-ხელ არა კეთდება. ზოგჯერ მთელი წელიწადები უნდა ილაპარაკოთ, სწეროთ, გააჩიროთ, ყოველის მხრით დაფასოთ, დაანახვოთ მნიშვნელობა საქმისა ვისთვისაც საქირა და მერე შეგიძლიათ დაემღუროთ ვისმე, თვარა სამღურავი თქვენ დაგაწყდებათ.

უცნაური ხალხია ამ ქუთაისის ეს-რედ წოდებული ინტელიგენცია. ჩვეულებრივ დროს (ესე იგი როდესაც მარშლების ან ბანკის კენჭი არ არის), უზის ქაღრაკს, ნარდს, სათა-

მაშო ქალაქს, ან ფერმის სტოლსა და ჰიკიკებს მთისა და ბარის აშავე-სა, ან ჯონ-სტუარტ მილის აზროვნებაზე, ან ახალ ქორებს აგუნდავენს. უეცრად იფეთქა სადღაც ერთმა აზრმა: ქუთაისისთვის ყურნალი, თუ ვაზეთია საჭირო! იწყება ერთი აშავეი და ვაი უშველებელი, აქიკიკდება მთლიან ერთიანად და ცალკე აქეთ კაცები, იქით ცალკე ქალები; ქუთაისის მოაზრე კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფება და ყოველი ნაწილი სწყვეტს, საკუთარი ყურნალი ანუ ვაზეთი გამოსცეს. მრავალის შეხებებ-ბისა და გულის ფურტკნის შემდეგ იწყებენ კიდევ ყურნალ ე ვაზეთის გამოცემას.

— რავე ძნელი ყოფილა, ასთე რავე შეიძლება, ამოდენა დაბკოლე ბა აქ გზდებმა, ეს სტაშა, ეს მწერლობის მოუშადადებლობა და სიმცირე, ეს ცენზურა, ეს უფულობა...

გაივლის ორიოდ წელი, მიყურდება ყველა, მოდა გადავარდება. კიდევ ქაღრაკი და ქორი, ნეტარს განცხრო-მაშა მოწამართე კაცი ქუთაისისა. მოწყენილობაც აგერ ეტყობა. მაგრამ აწი, აჰ აგერ იფეთქა ვიღაცს აზრმა:

— გამოვეთ წიგნები! რავე იქნება ასე? მოწამართე კაცები ასთე ვატარებთ დროს და იქ თვილ ქალაქში ვინცა უმეცარი ანაბტელოვე-ბი, ჰიკინაძეები, ჩარკვიანები წელიწადში ასობით ბროშურებსა და წიგნებსა ბეჭდვენ, წიგნების მაღაზიები გაუჩაღებიათ, სოფლებში ატარებინებენ ათასობით და ჩვენ კი ასთე ვსხედვართ!

იწყება ჰიკიკი ათას გვარის ფრინველისა, შეხებებმა აზრებისა, ცილენა მხედველობათა და მიმართულებათა, აწონა მოსაზრებათა.

— ებეჭდოთ წიგნებო, გადასწყვეტს ერთი მხარე.

— ებეჭდოთ, მარა რა ებეჭდოთ? ჰკითხავს მეორე მხარე.

— წერილი ბოშურები, იაფი ფასისა; გადმოვთარგმნოთ რუსული-დან „სოლიანო გოროდოკის საკითხავები“, ან „სახალხო ბიბლიოთეკის“ წიგნები, იაფიკაა, კარგიკაა და ადვილიკა.

— ეჰ, ეგ რავე იქნება? გადმოკეთება მოუნდება. პაწი წიგნებს რომ მოვანდომოთ ჩვენი პატიეცემული და დეე-გმირული ღონე, ცოდეა არ იქნება? რაკი ებეჭდეთ წიგნს, ისეთი დავებეჭდოთ, რომ ბარაქანი იყოს სულისათვისაც და ხორკისათვისაც.

— კაი და კეთილი, ებეჭდოთ ბარაქანი. ამა რა?

და იწყება გაუთავებელი ბასი წიგნების არჩევაზე. მიდის ლაპარაკი დღეს ამაზე, თუ ფული სად ეშოვოთ, ზეგ—თარგმანს ვინ იკისრებს, მაზეგ—ვინ გაასწორებს, ახლა სტამბა, ცენზურა, ქალაქი და... თავდება ჰანდრაკით და ქორაობით. მიდის ასე წელიწადები—ხუთი, ათი, ოცი; დღეს ვაზეთზე იყო ლაპარაკი, ხვალ წიგნების გამოცემაზე, ზეგ თეატრზე, ახლა ბოლოდამ დაიწყება დღეს თეატრზე, ხვალ ვაზეთზე, ზეგ წიგნების გამოცემაზე და ბოლოს ერთი და იგივე ქაღრაკი და ქორაობა.

— მიზევი?

მიზევი... დღეს მარტილი აკლიაო; ამან ეს სთქვაო; ეს უმეცარიოა; ის ცრუ-ვენტელაო; იმან მის ხათრით აზრი შეიცვალაო. ერთის სიტყვით... დღეს მარტილი აკლიაო.

აი დღესაც იფეთქა ახალმა აზრმა თეატრის შემობაზე. რამდენი ჰიკიკი იქნება, თქვენ წარმოიდგინეთ. და ამ ჰიკიკის იმედი უნდა ექონიოთ წლე-ვანდელი ატეხილი ქარები ფერს ისე უცვლის, როგორც ამ წლის მოსავალს უცვალა, და აბოდებს. ნიშნები ახლავ სჩანს. ქალაქის გამგეობამ უარი განაცხადა.

მაგრამ საქმე რაშია? ბატონ ვარლამ ქილაძეს თავისი ადგილი შეუძლია ეხლანდელ თეატრის ადგილში იმ პირობით, რომ ამ ადგილს მუდამი თეატრი ჰქონდეს. სხვა? სხვა არა ჩანს-რა. რა პირობით, რამდენის წლით, რა თანხით? ეთქვათ საზოგადოება კეთილ-სამიელი ამსრულე-ბლად და პატრონს კაცად სთვლის ვარლამ ქილაძეს, ყველა ხომ სიკვდილის შეილია, და მომავალში მის შემდეგ, როგორ ასრულდება პირობა თეატრის შემობაზე? ეს ყველა ხომ საფიქრებელია.

საყვედური ისმის ქალაქის გამგეობაზე, მაგრამ რასაც უსაყვედურებენ, ვგონებთ, უსაფუძვლო იყოს: ადგილი პატარააო. ეხლანდელი შემობაც უნდა მოეშალოთო, რადგანაც თეატრს მოზღილი ვაშლილი ადგილი უნდა ექიროსო, — განა ეს საფუძვლიანი აზრი არ არის?

ამის პასუხად სწერენ, ქალაქმა იყიდოს ვარშემა ცარიელი ადგილიო. ეს სულ სხვა გამოდის. ჯერ ამაზე საჭირო ლაპარაკი და საქმის თაღ-იგის დაქერა, საჭიროა ფული და მერე თეატრის შემობის შესახებ ქილაძესთან ლაპარაკი სხვა გვარად შეიცვლება, ესე იგი რაკი თეატრს ადგილი მოემატება, მაშინ მისი ფსიცი უნდა შეიცვალოს ქილაძის ეხლანდელ ადგილის შეფარდებით. ამ გვარად ლაპარაკის საფუძველი სულ იცვლება.

მაგრამ აქ ყველაფერი, ეს ლაპარაკი გამგეობისა და სხვათაცა საყველ-პუროდ, სახელ-და-ხელოდ ყოფილა. ერთს შეუტანია თხოვნა, მეორეს უარი უთქვამს და არაფერი მოსაზრება, როგორც მოწერილის ამბებიდანა სჩანს, არა ჰქონია იმისთანა საყურადღებო საგანზე, როგორც თეატრია; ნუთუ გამგეობას არ შეეძლო ეთქვა რაიმე, რას აპირებს მომავალში თეატრის შემობის შესახებ, რა განზრახვა აქვს, ეხლანდელ მოჯარადრის კონდრაქტის შესრულების შემდეგ რა სწავლიან? თუ ეს კონდრაქტი ახლა თავდება, განა დროებით მკირეს ხნობით არ შეიძლება ბ. ქილაძისთვის მიეცა? თუ მართლა აპირებს ეხლანდელის შემობის ახლავე მოშლასა? აი რამდენი საპასუხო საგანი უდევს წინ ქუთაისის გამგეობასა.

თეატრი ისეთივე საჭიროება ყოველ მოზღილ ქალაქისათვის, როგორც ხიცი, ფარანი, სისუფთავე, ჯან-მრთელობა და სხვა-და-სხვა. ქალაქის ვალდებულება მისთვის ზრუნვა, უთეატრო ქალაქის საზოგადოება ყოველთვის ზნეობით დაბლა სდგას და დაბალის ინსტიტუტებით რჩება, ვიდრე თეატრიანი ქალაქის საზოგადოება. ამის გამო რაკი ზნეობითი წარმატებაც ვალდებულებება, ყოველი კეთილ-მოწყობილი ქალაქი ბევრს ზრუნავს და ხარჯავს თეატრის შენახვისათვის. თვით მმართველობაც ხშირად შემწეობას აძლევს ფულითა და დახმარებითა. თუმცა თეატრზე დახარჯული ფული არა ბრუნდება ფულადე, მაგრამ ყოველი სარგებლობა ხომ ფულით და ფულად არ უბრუნდება კაცს.

ეს, რასაკვირველია, ვალია ქალაქის მმართველობისა იზრუნოს.

მაგრამ ის საყვედური კი უსამართლო საყვედურია, რატო თეატრის შემობას არ უცელი ბ. ქილაძესაო. ყოველი ქალაქი ცდილობს რომ საკუთარი თეატრის შემობა და ადგილი ჰქონდეს, ამისათვის რა ვაი-ვაგლანი გამოიარა ტფილისმა: შუა ქალაქის მშვენიერი ადგილი საშუალოდ თამაშობს მისცა, თეატრი აგვიწვეო და როცა დაიწვა, სხვა ღონე ვეღარ იბოვა, რაღაც მკირე ფულს უნდა დასჯერებოდა და ხელი აეღო. ყველამ იგონა, რომ თეატრისათვის საკუთარი ადგილი და შემობა უნდა ჰქონდეს ქალაქსა და არა ვისმე კვრძო კაცსა.

საქმე ამ ჟამად მაშასადამე იმაზე კი არ მიმდგარა, ეხლანდელი შემობა ვის მიეცესო, საქმე უფრო საფუძვლიან მოსაზრებას და სამზადისს მოითხოვს: ქუთაისმა შუა ქალაქში თეატრისათვის საკუთარი ადგილი უნდა აშოვოს და საკუთარი შენობა ააგოს ეს საჭიროება ფრიად აუცილებელი საჭიროებაა. და რა ღონით? როგორ? ამას ღონის-ძიების მონახვა უნდა, როგორც რომლისავე ხიდის გაკეთებას. რასაკვირველია, დიდის შემობის დადგმა ადგილი არ არის, როგორც ლაპარაკი, მას ათი, ოცი წელი მოუნდება, აი როგორც ტფილისი აგერ ათიოდ წელიწადია აშენებს და ჯერ არ გაუთავებია; მაგრამ ყოველი საშვილი-შვილო საქმე ერთის დღით და ერთის ათასიოდ თუმნით არა კეთდება.

ამას იმაზე ვლაპარაკობთ, რომ რა კი ქუთაისში თეატრზე ბასი და ეხლანდელ დროებით თეატრის მოშლასაც აპირებენ, მაშასადამე საზრუნველი უნდა იყოს საშუალო თეატრის აშენების საქმე. ამიტომ საჭიროა ეს საგანი ყოველის მხრით გაიჩეს, მოსაზრებულ იქმნას და ისე ხელ-და-ხელ აპილობილებულის ლაპარაკით არ გათავდეს, როგორც წარსულ კვირას გაუთავებია ქალაქის გამგეობასა.

რასაკვირველია, დროებით სათეატრო შემობაზედაც ზრუნვა საჭიროა, რომ უთეატროდ არ დარჩეს ქუთაისის საზოგადოება, მაგრამ ეს საგანიც დამოკიდებულია საშუალო თეატრის შემობასთან და ამიტომ საგანი უფრო რთული ხდება, უფრო გარკვევა ეჭირება გამგეობისა, საბჭოსა და თვით საზოგადოებისაგანაც.

მაგრამ ვაი თუ ეს ლაპარაკი სულ მოდის ჰიკიკი იყოს და ძველებურად წაყრუდეს?

3.

**ს. შარვაანი**

გაზაფხული. — ამინდი და მოსავალი. — ბეგრობა და გლეხი. — მუშახელის სიჭირე და გლეხი — და გურჯაანელები.

გაზაფხული მიიწურა. გვიანი გაზაფხული გვიან ზაფხულდება. აი დღეს თუმცა 10 თიბათევა, მაგრამ გაზაფხული ისევ ნაზად იყურება და თავის გამომეტყველებით ყველა სულდგმულს ასამოვნებს. ღვთის წყალობა და მადლი ეხლა გამოითქმინ გურჯაანის მიდამოს მაყურებელის თვალში, ისეა შემკული აქაური არემარე. შემოსულ ყანებისა და ქერების გარდა ყოველივე მწვანე ხავერდ-დალ გეჩვენებთ, როგორც ყველგან, გაზაფხული აქაც ნოტიო იყო იმავე

თავით. ეს იყო მიზეზი, რომ წელს ფეტვები და სიმინდები ბლომად დაითესა და დღეს მწვანედ გააქეთ ღვინო. პურმა მალე იმუხლა, დაიყვანა, ჩაიღო ნაწილი და დაიღობა ღვინო. ღვინო-გამომწვანებელი წვიმა და ცხარე მზანი დღე ერთმანერთს ეკამათებოდნენ ხანგრძლივობას, ვერც ერთმა ვერ დასძლია და მათმა კამათობამ გურჯანის ყოველი მიღამო დღემდე სასიამოვნო სახილველად გარდაქცევა მტრები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მინც ხელი ვერ შეუშალეს დალოცვილ ამინდს: 8 მაისს საღამო ჟამს რო სეტყვისაჲმ ქარიშხალმა ამოსიყრა ზიარ ფხოვლის გადმოვაკებაზე, შერცხენილმა აიარა და გულის-ბუხარი ღრეკლდებზე იკარა. ეს კი იყო, რომ თავ-მოწონებული ყანები ალაგ-ალაგ ქარმა დაპირქვევა, მაგრამ მეორე დილიდანვე მზიანმა დღემ გაუღინა, მშველელი ხელი ჩამოაწოდა და მომეტებული წაქცეული ყანებია ზეზე წამოდგა; შემდეგ ნაწილით დამძიმებულებმა თავი დაიხარეს და კისერი მზეს აუხარეს შემოსასვლელად. საღაც ყანა წაქცეული დარჩა, მან არა ნაკლებ ისაზრდოდა ღვინის უხვის მოწყობებით და ზეზურ ყანაზე არა ნაკლებ დიმიძმა თავი, და ეღოს სულ განაბული დღემდე გავრავლებულ ნამვალს!

ქვრებმა კვლავანდებურად აღარ მოუცადეს ყანებს და ცოტა იმეტი-ჩარეს, მაგრამ მტერიარობა კარგად არ მოუხდათ: ადრე შემოსული ქერი გლეხმა უკვე მომკო, ხელად გაღვიწა, დაფქვა და, ეს ორი კვირა—სიამოვნებით შეეჭყვა ქერის პურს. ამ მხრივ კახელებმა ჩამართვეს პირველობა ქართლებს!

8 თბათვეს, კვირას, აღები-ღამე რომ დაიყენეს გურჯანებმა, იმ ღამეს მშვენიერი ჟურნალი წვიმა მოვიდა და ქვეყნიერება გააგრილა. ახლა ამას დარღობენ გურჯანელები—იმ წვიმამაც ალბი-ღამე არ დაიყენოს.

ვენახები ძალიან კარგ იმდენ ად-ლევენ პატრონებს, თუ ღმერთმა ქნა და „ქვეყრში ტბილი ჩახურეს“. ეს კია რომ ვენახებს გაზაფხულის სამუშაო ძალიან დაუფიანდათ. სიმინდები ბევრი დღესაც გასათონია. ნებიერი მკითხველი გაიკვირებს და იკითხავს—რათა?—მათაო, ჩემო ნებიერო, რომ ქვემარტი გულ-შემბატყვარი ქვეყნისა ძვირად სადმე იპოვება. აი როგორ, ყური მათხოვეთ: წარსულ გვალვიან წელიწადს საზოგადოდ მეტად ნაკლები მოსავალი იყო—ნათესისაც, ღვინისაც. ხალხს სულადის ნაკლებობა ზოგს იანვარშივე მიუხდა კარს, და მარტს აქეთ ხომ ყველა ყიდულობს. აშენდნენ ალაფები სიღნაღში იმ ხანად. გლეხი-კაცი დღით-ღამით ნამუშევარის ფასით მილიონად იოლად და თავის სამუშაოს უკან აყენებდა. ან კი რა ექნა საწყალს! თუ ესე არა, ცოლ-შვილი ამოუწყდებოდა შიმშილით. კიდევ მაღლობდა ღმერთს, რომ წასულმა ზამთარმა მშრალად, უთოვლოდ გაიარა ბოლოს ხანამდე, თორემ შერი მტერი, რომ გლეხი კაცი მოცად-გამოქნილ საქონელზე ხელს აიღებდა, უსაქმლობით გაუწყდებოდა; მინც ბევრი ღვინი გამოხრეს მელა-ტურებმა. სწორედ ამისთანა უსუსურ გაზაფხულის პირს უყვლეს გლეხობას: სიღნაღიდან თელავისკენ მიმავალ გზა-ტყეილის აქეთ-იქით არშინ-ნახევარი სიღრმე არხები უნდა დაუყვებოდნენ, ნახევარ არშინზედაც

ქვიმა უნდა დაეყაროს, ზიარზე გადატანილი გზა უნდა დამთავრდეს. გასკრეს არხები. ამოღებული მიწით ვენახის ღობეები მიწის პირად დაიყვანეს; უღონო საქონელი ბევრი ჩაიჩხა არხებში; დაყარეს ქვიმა როგორც იყო; დამთავრეს გურჯანის-დან ზიარზე გადატანილი გზაც. გახდა კვირა-ცხოვრობილამ მოკიდებული თბათვემდე ბოლო მოუღებელი ბევრობა...

მაგრამ იქმნება კარგი გზის მნიშვნელობის დასარგებლობის უარ-ყოფა შეგვამოს ვინმე ვინც კისერ მოსატეხი დაიწყებს ზიარზე გადატანილ გზას, რომელიც ერთი ათად სჯობია ჩალაუნისას, რომელიც ორი უფლის ხალხი შეიშრო ორის წლის განმავლობაში? რომელი აიღებს თავზე ხელს და არ აღიარებს, რომ რომელიმე მზრის ეკონომიური წარმატება და აკარგიანობა მჭიდროდ დამოკიდებულია კარგის გზების ქონებასა და უქონელობაზე? ვიცით, ბატონო, გვესმის—რა არის „გზა“? ვიცით, რომ კარგ გზაზე უყვთესი ქვეყნის ალებ-მიკვობისა და მისვლა-მოსვლისათვის არა არის-რა...

ენახთ ყანის მკა. ყველა კაცს ცხლა თავის საქმე აქვს, მე-ე იმდენი საქმე, რომ ნეტავი შეიძლოს მისი გაკეთება. ორიოდ დღე ვენახში იმუშავა, ოთხიოდ დღე ბაღის თიხას მოანდობა, ოთხიოდ დღე—ქერის მომკას, გაღვიწვას—დაფქვას. მოვიდა ყანების დროც. რა ქნას გლეხმა კაცმა, რომელსაც ოცისა და ორმოცის დღის ყანა აქვს სამკალი?—უნდა მუშა იმე-ლიოს, მეტი ღონე არ არის, იმე-ლიოს, მაგრამ რომ არ არის? მანათს, ექვს აბაზს იძახიან და მუშის შოვნა არ არის—ყველას თავის საქმე აქვს ეს მუშის სიძვირე ისევ გლეხ კაცს არგებსო, იტყვის ნებიერი მკითხველი, არგებს, მართალია, მაგრამ თითონ გლეხ კაცს რომ მუშა უქონს?

ბევრა კი რომ შემოდგომით, ან სხვა დროს ყოფილიყო, გზაც გაკეთდებოდა და ხალხიც შეღავათით იქმნებოდა. ახლა წარმოიდგინეთ ხალხის უბედურება, თუ ცა გაურისხდა და ვენახები დაესეტყვა!

(შემდეგი იქნება)

### ნარკვევი

(ყურადღებოთ)

საფრანგეთმა განდევნა და სამშობლო მიწა-წყალს მოაშორა პრინციები, რომელთაც ენდობდნენ სახელმწიფო წყობილებას, რესპუბლიკის მტრობას, დაღატობას ჰსწამებდნენ. კარგად მოიქცა საფრანგეთი, პრინციების განდევნით სამშობლოს საქმეს შევლა მისცა, თუ არა? გავითი „Русскія Вѣдомости“ არ აქვს საფრანგეთის ამ გვარ საქციელს და აი რა მოსაზრების გამო.

სამწუხარო ყველაზე ის არისო, ამბობს გლეხი, რომ საფრანგეთი პრინციების განდევნით საქმეს ვერ შევლის, ვერ მიადრწეს თავის წადილს, ვერ დაიკავს ახალ სახელმწიფო წყობილებას იმთხელიდამ, ვისაც ქველის წესების დაბრუნება ჰსურთო. განდევნილების მომხრენი და თანამაზრენი ხომ ისევ საფრანგეთში ჰრჩებიან და ესენი, რასაკვირველია, თავისს არ დაიშლიან, ისევ ისე იმოქმედებენ, როგორც უწინ, იქნება მხო-

ლოდ იმ განსხვავებით, რომ ესლა გავრთილებით მოიქცევიანო. ეს გარემოება კი საფრანგეთისთვის უფრო საშიშარი იქნებაო. სამხედრო გარეთ უფრო ადვილი მოსახერხებელია მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება, ვიდრე თვით საფრანგეთში, მთავრობის თვალ-წინაო. გარდა ამისა საფრანგეთმა თავის საქციელით დიდი წინდაუნებლობა გამოიჩინა; საფრანგეთმა თვით რესპუბლიკის ღირსება დაამცირა: პრინციებს ესლა თამამად შეუძლიან სთქვან, რომ ჩვენ დიდი ძალა და გულუნა გვქონია საფრანგეთში, თუ მთავრობას ისე ჰმინებია ჩვენ, რომ ძალა და უსამართლობა უნდა ეხმარა ჩვენ წინააღმდეგო.

ვაი თუ საფრანგეთს ისეთი საქმე მოუვიდეს, როგორც სირიაქვემას, როდესაც მტერი დაედევნება ხოლმე: ქვიმაში თავი ჩიბადლოს და დარწმუნებული იყოს, რომ განსაცდელი თავიდან ავიცილიყო...

**უცხოეთი**

**ბოლბარია.** ბოლბარიაზე განსაკუთრებული ყურადღება არის ესლა მიზრობილი დიდთა სასულეწიფოთა, როგორც სხანს ამ ბოლბარ დროს მიღებული დეპუტატად. სასულეწიფოთს არ მოსწონს, რომ გაერთიანებული ბოლბარია თამამად იქვე და თავის თავს ისე უტყობს როგორც თავისუფალს და დამოუკიდებელს სამთავროს შეიქვეყნება. აი ერთი მაგალითი იმისი, თუ როგორ აფასებს ბოლბარია თავის გაერთიანების საქმეს. დიდს საერო კრებაზე ერთს დეპუტატს ვუღიგეს წამოსცა თურმე ღამა-რავის დროს: „მატყვემული რუქილის დეპუტატო“. მთელი კრება ყელსზე უსდგა. კარგელოვისა და ტანკოვის მომხრეებმა დაივიწყეს, თუ რაიმე უნდა ჰქონდათ ერთმანერთში და ერთ-მანდა ასტყეს დალიანთი, როგორ თუ ვუღიგეს გატყდა და რუქილია ისე, აქ ყველა ბოლბარელოა. ასე განსაკუთრდა ეს სასული იწყინა თურმე იმ ოქმს თუ ოცდაათმა დეპუტატმა, ტომით ოსმალთა, რომელიც სსკასთან ერთად კრებაზე იყვნენ. ბოლბარ როგორც იყო დამსჯიდა კრება თავს-მუდამის მუქადინებათ. აღარ ისმოდა უფრო: გავიდეს დაბრუნდამ ვუღიგეთო. როცა დუმილი ჩამოვარდა და გამოაშკარავდა, რომ ვუღიგეს მხოლოდ წამოსცა ის სიტყვა, დეპუტატი წამოსცა თვალ-წიფილიანი და დეტატებულად ტამის-ტამის დროს გამოაშკარავდა: გულთან და სულთან ვსარობ, რომ უნებოდე მიხეცი მიგვიტყვას, დიდის ამით დამოწყობისა აქ დამსწრე დიდთა სასულეწიფოთა წამომადგენელთა წინაშე, რომ ბოლბარის საერო კრებაზე წამომთქმული იქნა არ უნდა იყოს სიტყვა „დამოსვლეთი რუქილია“.

**ინგლისი.** ჯერ-ჯერობით არჩევანების საქმე გლანტონის სასარგებლოდ არა თავდება გუშინ საღამომდე 143 დეპუტატი იქნა ამორჩეული გლანტონის წინააღმდეგი და მომსრე კი სულ 62 კაცი.

ლორდ სენსერს უთქვამს, რომ ეს ბოლიტიკა, რომელსაც აქამდე ირლანდიის საქმეში ვადეკით არ გამოდგა და უნდა გამოიფიქროს. ამის გამო არ შემიძლიან არ მოვიწყონო გლანტონის პროექტო. ამ პროექტებს, ჩემის აზრით, შეუძლიანთ საუკეთესო ურთიერთობა და მუდამ დიდბრტისას და ირლანდიის

შორასაო ლორდ დევისის განსჯა-ტარების კრებაზე ძალად გავრცელდა გლანტონის პროექტი. გლანტონს უთქვამს მწუხარებითა, რომ ამ ერთის წლის წინად მთელს ინგლისსა და მოტლანდიაში არავის იფიქრად არა ქვინა ცალკე საკანონმდებლო დაწესებულება მიეცათ ირლანდიისათვის; ესლა-კი სდევნიან ვეკლას, ვინც იმ აზრს ადგა, რომელსაც მთავრობის წევრთა შვიდი მერვედი აღიარებდაო. რაივა შეეყვანა იმას, რომ გლანტონი მიეცნას (პირველმა მინისტრმა გლანტონს განსჯა-ტარი და ცრუ-დებულება უწოდა), მაგაც თავის დროზე ვუხარეს და ისე ვუხარეს, როგორც კვადრებაო.

**განსართობი**

**გენერალი ჩენგ-კი-ტონგი.** როგორც იტყობა ჩინელებმა შესტოფეს განათლების მორევი, სწავლა-განათლების გავრცელებას შეუდგნენ და ვეროპიფიების ბაჰვა დაიწყეს. მაგალითობრ, ამას წინედ ჩინელს გენერალ ჩენგ-კი-ტონგს პარიჟში, სენ-სიმონის დარბაზში რეფერატი წუთიონავს შეტად კარგად და შევერ-მეუფელოდ. რეფერატი შეტება იმ საპასუხო სავანს, რომ ჩინელი ხალხი მეტად მშვედლობანად იზრდებო და მომრად ვერ გამოდგებიანო. აი ერთი ადგილი რეფერატიდან: „ჩვენანი ჩინელი ყმაწვილი უფროებს, რომ დიდის ამბიო და პატივით დაიარება ვიღაც კაცი, რომელსაც მწვანე წილით შეხამებული ქოლგა აფარა თავზე. ამ კაცს რაღაც დიდებულიება უტყობა სხეზე. ეს ლიცისტიო“. ეტება დედა ცნობის-მოყვარობით აღარულს ყმაწვილს. საფრანგეთში მარტო დაფის ხმა ისმის, წითელი შარვალი და ყვირთელი ეპოლეტები სხანს. საფრანგეთის ყმაწვილი ცნობის-მოყვარობით უფროებს ამ ჯარს, დედა მან არაფერს ეტება. „მე ლიცისტი ვიქმნებო“; ამბობს ჩინელი ყმაწვილი, რაი ვიკვებს ხოლმე, თუ რა დიდის პატივით ისწენიებს დედა ლიცისტის სახელს. „მე ჯარის-კაცად შევლიო“! გაიძახის მზარდად საფრანგეთის ყმაწვილი, სამხედრო ხელოვნება დასავლეთში ჰეპავის და აღმოსავლეთში-კი ხალხი ოან-და-თან უფრო მშვედლობანს ცხოვრებას ერგებო; უთქვამს ჩენგ-კი-ტონგს. ბევრი ტაში დაუკრავო, როდესაც წუთიონავს: ჩინეთში მინისტრებს ნაბრანები აქვსო, რომ ხე-ჩვეულებას, რომელიც ქველის-მეკლად არის დარჩენილი, არ შეტნენ და მათი შეცვლა რითიმე არ გაბედონო.

**ბანძარკის ახრი.** გრავ ეიცერბერგს გამოჩინილის მინისტრების ხელთ-ნაწერები შეუგროვებია. გრავის კრებულში სხვათა-შორის მოყვანილია სამის გამოჩინილის კაცის ახრი. გიზოს დაუწერია: „ჩემს ხანგრძლივს სიცოცხლეში ბევრი მიპატიებია და დავიწყებთ კი არა დამივიწყებარა“. ამის ქვეშ უთერს მოუწერია: „თუ კაცი გულწრფელად აპატიებს, მეტი არ იქნება, რომ ცოტათი დაივიწყოს კიდევო“. ამის ქვეშ და ბისმარკს კიდევ შემდეგი სიტყვები მიუწერია: „ცხოვრებაში გამოცდილებამ მეკის მასწავლა, რომ ბევრიც დამივიწყნა და ბევრიც მიპატიებინა“.

**ეპისკოპოსი ჭურნიეს** ერთხელ მონპენიში შეგდა ყმაწვილი, რომელმაც მისი ყურადღება მიიქცია იმით, რომ თუმცა ყმაწვილი ღარიბად იყო ჩამეული, მინც ღამაში და მეტად გონიერი სახე ჰქონდა. „რა გქვინა?—ჰკითხა ეპისკოპოსმა. „ვიქტორ ჩელიქო“, უპასუხა ყმაწვილმა. „რამდენის წლისა ხარ?—„სულთსა“.—„რად უფრო გინდა, რომ ვახდე?—„ეპისკოპოსად, როგორც შენ ხარ.“—„ძალიან კარგი, შენ ეპისკოპოსი იქნები, ღიმილით უპასუხა ეპისკოპოსმა. ეს მოხდა 1826 წელს. ამის შემდეგ ეპისკოპოსი ზრუნავდა ყმაწვილის ბედზე და ზრდიდა. ენლა სამოცის წლის შემდეგ, პატარა ვიქტორ-ჩელიქო სენსეს არჩი-ეპისკოპოსად და ამ დღეებში კარდინალად დანიშნეს.

**ანგარიში**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა

III (შემდეგი\*)

დ) წინარების სკოლა.

ქოთსე წელწადია, რაც გამტკობამ განსსს ს. წინარების სკოლა გორის მხრამი (1882 წ.). საზოგადოება წელს სკოლა შესდგებოდა სამას განყოფილებასგან. პირველს განყოფილებაში იყო 7 მოწაფე, მეორეში-17, მესამეში 6. 30 მოწაფეთგან ქალი იყო 18, ვაჟი 12. მასწავლებლად არას ამ სკოლაში მაღალშვილის ქალი სალომე, რომელსაც სწავლა შეესრულებათ თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში. შესანიშნავია, რომ ამ სკოლაში ყოველს წელიწადს ქალთა რიცხვი აღმატება ვაჟებისს. მშობლები საამოვნებით აძლევენ სკოლაში ქალებს და ეს უკანასკნელნიცერთგულად დარბობან, რად გან მასწავლებლად არის ქალი. მასწავლებელმა შთაუწერა მშობლებს სურვილი ქალების აღზდის სკოლაში იმითაც, რომ ეს, წერა-კითხვის გარდა, ასწავლის ქალებს ხელ-საქმესაც, რომელსაც ძვირად აფასებს ჩვენი გლეხობა. საზოგადოების გამტკობაც ესმარება ხელ-საქმის შესწავლას სკოლაში მით, რომ საჭირო მასწავლებლის სასახლოდ ისიც უნდა შექნის-შნათ, რომ ეს ზრუნავს თავის მოწაფეთთა სწავლასად არა მხოლოდ ჩვეულებრივის სწავლის დროს, არამედ მამანა, როდესაც მოწაფენი თავისუფალნი არიან სწავლისაგან, ე. ი. საფრანგობით გვიარა-შეშე დღეს ასწავლის. ამ გარდა მოწაფენი დათხოვნის დროს ერთხელ ხელ-აღებულნი არ არიან სწავლასად და უქმად დროს არ ატარებენ.

წელს წინარების სკოლას სხვა ფრიკაც მიაქვია ურადღებამ გამტკობამ. წინარების საზოგადოება შესდგება ორის მოზრდილის სოფელიდამ (წინარეხი და თელად-გორი) და თერთმეტის პატარა პატარა უბნიდამ, სადაც მთიელნი სტროგებენ. სასოფლო განჩინების ძალით, სკოლისთვის საჭირო ფული უნდა გაეწილ იყო თვითვეულს ამ სამამსახლო-სოს სოფელსა და უბანსად. განჩინების ძალით, სკოლა უნდა განსილი-ყო ს. წინარესში და წელიწადში 250 მ. უნდა ეძლია მთელს საზოგადოებას სკოლის ხარჯად. წელს სკოლის მზრუნველთ ანტობეს გამტკობას, რომ 250 მ. მაგიერ, ერთმეკა 300 მ. და არა მთელს სამამსახლოსს, არამედ მხოლოდ ს. წინარების მცხოვრებთ. ამისთვის გამტკობამ წელს იშუამავლა მთავრობასთან, რომ მხოლოდ 250 მ. ერთმეადეს მთელს წინარების სამამსახლოსს და არა მარტო ს. წინარების მცხოვრებთ და იქედია, რომ მთავრობა შეიწყინარებს ამისთანა შეამავლობას.

წელსანდელა სარჯი სკოლისა: მასწავლებელს ჟამაგირი 300 მ., წინარეები და მასწავლო ნიეთები 57 მ. 34 კ., სულ 357 მ. 34 კ. შემოსავალი აქვს სკოლას 248 მ. 68 კ. მამსახლამე საზოგადოებამ თავისის სამუშალებიდან მოახმარა 108 მ. 66 კამ.

ქუთთისის ალექსანდრეს სათავადანზნაურო სკოლა და მისი განყოფილება დაბა ძველ-სენაკში

აღნაშენული ოარივე სკოლა სწავლას

\* იხილეთ „ვერია“ № 124, 125, 126, 127 და 128.

მხრით ექვემდებარება წარსული წესის სანაგარეო უფლებების განხორციელებას. ქუთაისის სკოლა სანაგარეო უფლებების განხორციელებაში შესდგება ოთხის მოსამზადებლის და ოთხის პროფესორის კლასისაგან. წესს გამკობამ განხორციელა პროფესორები სასწავლო საგნების მოსამზადებელ კლასებში და გაუზარა სკოლის გამგებულს სახელმძღვანელო. პროფესორული კლასებში საგნებს სწავლობენ იმავე წესით, რაც წესი ჰსუფევს კლასიკურ განსწავლას, მოკლედ ჩართულს ენას აქ მომეტებული უფრადება აქვს მიქცეული.

სანაგარეო უფლების დასაწესში ბეჭდს სხვაგვარად მოქმედებს ორი განყოფილება მოსამზადებლის კლასისა—მესამე და მეოთხე. სანაგარეო უფლების განხორციელებაში სამეგრელოს თავად-სწავლარებში აქვთ სკოლისთვის სასწავლო ადგილები, რომელიც დაუთმო უსასყიდლოდ უგანათლებ. თავადმა სამეგრელოსამ ნიკოლოზ დავითის-მედიანმა.

(შემდეგი იქნება)

# დებემა

23 ივნისს

**სმკიპი.** მთავრობამ შეიტანა ხე-რო კრების წინაშე წინადადება სანაგარეო უფლების მიერ 30 მილიონის ფრანკის ბიდეტების გამოცემის თაობაზე და წარმოადგინა საკანონმდებლო კრების განხილვისთვის და რეგულირების განხორციელებისთვის სასწავლო დასაწესი.

**პარიში.** ხედავს მოაწონა და დაამტკიცა კანონ-პროექტი მთავრობის გამოცემის გამართვის თაობაზე 1889 წელს.

24 ივნისს

**პარიში.** გუშინ დიდი მთავრობის ელახად მარტინის ასული მშვიდობიანად განთავსდა და მიეცა მე, რომელსაც სახელად იონა უწოდეს.

**პენა.** გუშინ რუსეთის ელჩის და აქედან სწავლულთა მრავალ წარმომადგენლების თანა-დასწრებით მანბარეს მიწის რუსეთის ბუნების-მეტყველი აბინი. გვამს გაჭვავებანს როტანს დასაწვავდა.

## საკანონმდებლო ცნობანი

**ქრისტეს აქედ ზეპე (1886) წელიწადი.** ქვეყნის შემოსემა 7394. მკვდრი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორიკონი — ულ=478 წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორიკონი—მ=42 წელიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნაღები—3.

ივნისი 30 დღით არის.

**25 დღე** ოთხშაბათი. ქალწულ-მოწამე თებრონისი. სომეხთა მარხვა. კათ. ეპისკოპ. პროსპერისა და აბბატის ვილჰელმისა. მესულ. მე-5 დღე თივისა შეგულ 1303 წლის ჰუდრისა. საქართველოში გარდა უბი, შემდეგ მთებში გადავიდა და იქიდან კიდევ რუსეთში მოხდისკენ. ყველა-გან საზინდად მდინარეებდა, მეტადრე ყაზარდოში, საცა 3/4 მკვიდრობა იმსხვერპლა 1803 წელს. ქვეშარიტი შეადლე 12—4—31; ტფილისში მზე ამოდის 4—32; ჩადის

7—37. მთვარე ამოდის 11—7; ჩადის 11—8 ღ.

**26 დღე** ხუთშაბათი. დავით თეს-ლონიკელისა. სომ. წმ. თეოდორე, თალი-ლა, 7 ქალწულთა. მარხვა. კათ. იოანესი და პავლესი. შობა მათ. ალექსანდრა იოსიფონისა. მთვარე 7 დღისა. ქვეშარიტი შეადლე 12—4—47. ტფილისში მზე ამოდის 4—32; ჩადის 7—36; მთვარე ამოდის 0—10; ჩადის 11—42.

**27 დღე** შაბათი. ღირსისა გიორგი მთაწმინდელისა საღმთო წერილის მთარგმნელისა ქართულად 1066 წ., სომეხ. ნა-ნატონაქი, კათ. ვლადისლავისა. ალექსანდრა იოსიფონისა და დატყვევება ოსმალეთის სერასკერისა 1829 წ. კავკასიის გეოგრაფ. საზოგადოების განყოფილების დაარსება 1850 წ. ქვეშარიტი შეადლე 12—4—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34; ჩადის 7—36. მთვარე ამოდის 1—21; ჩადის.—11—42.

**28 დღე** შაბათი. აღმოყვანება ნა-წილთა წმ. საკვირველ-მოქმედისა გვიროს, იოანე, პავლე მკურნალისა, სომ. ჰოენა ნა-წილთა წმ. გრიგოლ სომეხთა განმანათლებ-ლისა. ერევნის ღაშაპარა დაამარცხა 13 ათასი კაცი ოსმალთა ჯარისა; ეს ჯარი 23 გარს ერტყა ბაიზეთს. ამ გამარჯვების გამო განთავსდნენ თავ-განწირული მეცნი-განეთა რაზმი, 1877 წელს. ქვეშარიტი შეადლე 12—5—4. ტფილისში მზე ამოდის 4—24; ჩადის 7—36. მთვარე ამოდის 2—24; ჩადის 0—17 ღ.

**29 დღე** კვირა. წმ. მოციქულთა პეტრე-პავლესი. კათ. იგივე დღეობა. სახელ-წოდება მათის უმაღ. პავლე ალექსანდრო-ვიჩ 26 წლისა, პეტრე ნიკოლაევიჩ 22 წლისა. ქვეშარიტი შეადლე 12—5—13. ტფილისში მზე ამოდის 4—35; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 3—37. ჩადის 0—53.

**30 დღე** ორშაბათი. წმ. 12 მოცი-ქულთა. სომ. წმ. მოწამე ანტონინოს, თე-ოდორე და სხვ. კათ. ემელი და ლუცი-ნასი. სახელწოდება მათის უმაღლესობის ვლადიმერ ალექსანდროვიჩისა. საქალაქო დეპუტატების შემოღება ქუთაისში 1875 წელს. დიდი მიწის-პერა ნახიჩევანს, ამ დროს და-იღეს სოფელი ანურა, მონასტერი წმ. იო-კობისა და 2000 მცხოვრებელი. ქალაქ მაქესა და ნახიჩევანის მარხვაში დაიქცა 6000 სახლი (1840 წელს). ქვეშარიტი შეადლე 12—5—20. ტფილისში მზე ამოდის 4—36; ჩადის 7—35. მთვარე ამოდის 4—26; ჩადის 1—32 ღ.

## გამოსაღები ცნობანი

ნახრა	
1 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე.	
თეთრი ზური რუსული 1 გირ	5 კაპ.
წითელი ზური 1-ის გარისისა	2 1/2
„ „ 2 „ „	2 „
თონის წითელი ზური 1-ის ხარის.	4 1/2 „
„ „ 2 —	3 „
„ „ 3 „ „	2 1/2 „
ჯვარის მამის ზურის ღაჯაში	
1-ღის ხარისისა	4 1/2 „
მე-2 ხარისისა	3 1/2 „
მე-3 —	3 „
ქროსას ხორცი 1-ღის ხარისისა	8 „
„ „ 2 „ „	7 „
სუკა	14 „
ცხვრის ხორცი	7 „

**მიმოსვლა ცეცხლის გეგმისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4 ს ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოკორთასისკენ და კერძო შეიკვის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სა-ღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეიკ-ვის).

კვირბაობით საღამოთი სტამბოლამ-მიდის. ბათუმიში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლე გზით—დიდით. შაბათობით სტამბოლიდან მოდის დ-ლით.

## განსხალბანი ინგლისის მალაზია

არწრუნისეულს გაღერეაში მიაღო ჩაი, რეკოლეგერები და კრავატები. ისეიდება ძალიან იათად. (10—1)

ქრძმთა სკიოთხაუკე ქურნალი

**„ნოტატი“**

უდგეგურის დამსტებით მშობელთა და ად-გურდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს — კალაქში მანათი, კალაქს გარე-გეგნებით მ მან. და ათი ზურთი. ათი ზურთი შეი-ღება მარკებით გამოგზავნის. ადრესი: Тифлис. А. С. Гулаев, Солотки Фрейлиной, 7.

**ტფილისის თავად-სწავლართა საბ-დგილ-მამულო ბანკისაგან.**

ტფილისის თავად-სწავლართა საბ-დგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ რადგანაც 16 ივნისს 1886 წ. ბანკის წესდების 21 § ძალით დანიშნული ვაჭრობა არ შე-სდგა, ამისათვის ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 ივნისს 1886 წ. დილის 12 საათზე ბანკის სადგო-რში, არწრუნისეულ სახლებში, ფრე-ილინის ქუჩაზე, ქვემო მოხსენებუ-ლის მამულებისა.

## ქალაქის მამულები

**ბაგრატიონ - მუხრანსკი,** ივანე კონსტანტინეს ძე. სამ - სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელი და სხვა შენობა ზომა მიწის 313 1/2 ოთხ კუთხი საქ. I განყოფილებაში I ნაწილში ქ. ტფილისში. თანე ვალი 22,918 მ. 22 კ. შემოსატანი გარდა-სახალი 1514 მ. 77 კაპ. სულ 24432 მ. 99 კაპ.

**მანაბლისა,** დარია გრიგოლის ასუ-ლი. ორ სართულიანი ქვითკირის სა-ხლი საკინულეთი და ორ-სართული-ანი ფლიგელი სარდაფითა. ზომა მი-წისა 380 ოთხ კუთხი საქ. ქ. გორ-ში. თანე ვალი 10.968 მ. 25 კ. შემოსატანი გარდასახალი 1044 მ.—სულ 12012 მ. 25 კ.

**პროკოპოვიჩი,** სვიმონ პროკო-ვის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მომართულობით, ორი ერთ სართულიანი ფლიგელი შენობებითა და გომურით და ერთ-სართულიანი სახლი გომურით. ზომა მიწის 1756 1/2 ოთხ კუთხი საქ. I განყოფილების 1 ნაწილში ქ. ტფი-ლისში თანე ვალი 18280 მ. 41 კ. შემოსატანი გარდას. 1088 მ. 51 კ.—სულ 19368 მ. 92 კ.

**კალიშევსკი,** ალექსანდრე იოსე-ბის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მომართულობით. ზომა მიწი-სა 90 ოთხ კუთხი საქ მეორე გან-ყოფილების მეორე ნაწილში ქ. ტფი-ლისში, ჩუღურეთში. თანე ვალი 6398 მ 14 კ. შემოსატ. გარდას. 409 მ. 90 კ.—სულ 6808 მ. 14 კ.

**ფარესოვისა,** ნატალია აბრამის ასული. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი შენობებით და მომართულო-ბით. ზომა მიწისა 110 ოთხ კუთხი საქ. I განყოფილ. 2 ნაწილში ქ. ტფილისში ხევის ქუჩაზე, მთაწმინდა-ში. თანე ვალი 9943 მ. 38 კ., შემო-სატ. გარდ. 9018. 17 კ.—სულ 10844 მ. 55 კ.

**უთნელოვისა,** ევატერინე დავითის ასული. ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით ზომა მიწისა 140 1/2 ოთხ კუთხი საქ. 1 განყო-ფილ. 2 ნაწილში ქ. ტფილისში. თა-ნე ვალი 6279 მ. 83 კ. შემოსატ. გარდას. 465 მ. 72 კ.—სულ 6745 . 55 კ.

**გეგელი,** ივანე თედორეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარ-დაფითა და სამ-სართულიანი ფლიგე-ლი ზომა მიწისა 150 ოთხ კუთხი საქ. 2 განყოფილ. 11 ნაწილში ქ. ტფილისში. მალაქნების ქუჩაზე № 8. თანე ვალი 2711 მ 83 კ შემო-სატ. გარდასახ. 189 მ. 62 კ —სულ 2901 მ. 45 კ.

**ადაჯანიანი,** სარკის იაკობის ძე. ორ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა. ზომა მიწისა 10 ოთხ-კუთხი საქ და 1 არ. 1 განყოფილ. 3 ნაწილში ქ. ტფილისში. თანე ვა-ლი 1152 მ. 22 კ შემოსატ გარ-დასახ. 83 მ. 24 კ. სულ 1235 მ. 46 კ.

**კორძაა,** იმარიამ მოსეს ასული და იმედაშვილი ევატერინა მოსეს ასუ-ლი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით. ზომა მიწისა 77 1/2 ოთხ კუთხი საქ. 2 განყოფილების 7 ავლაბრის ნაწილში ქ. თფილისში. თანე ვალი 365 მ. 61 კ. შემოსატ. გარდასახ. 80 მ. 64 კ.—სულ 446 მ. 25 კ.

## სოფლის მამულები

**შალიკოვები,** კონსტანტინე როს-ტომის ძე; ნიკოლოზ, გიორგი, მი-ხეილ დიმიტრის ძენი და სალომე პა-ნტელეიმონის ასული. სახნავი, სა-ძოვარი, სათიბი, ტყე, ვენახი და ბა-ღი, წისქვილი და შენობანი. ზომა მი-წისა 1447 დეს. 2296 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში, სოფ. სკრას. თანე ვალი 31817 მ. 12 კ. შემოსატ. გარდა-სახ. 2267 მ. 72 კ.—სულ 34084 მ. 84 კ.

**მელიქოვი,** მიხეილ ივანეს ძე. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე. ზომა მიწისა 1041 დეს. 500 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში, სოფლებში: არაბათალა, ფა-ლიან-თაქიან, ხუჯაბა, მელაქაშენი, თეფური და სხვ. თანე ვალი 7658 მ. 26 კ. შემოსატ. გარდასახ. 485 მ. სულ 8143 მ. 26 კ.

**ზანდუკელი,** ოტია გიორგის ძე. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე. ზომა მიწისა 473 დეს. 1200 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბ., ლუშე-თის მაზრაში, სოფელ ბულონაურში. თანე ვალი 5828 მ. 5 კ. შემოსა-ტანი გარდასახ. 421 მ. 30 კ.—სულ 6249 მ. 35 კ.

**მიხაილოვისა,** ნატალია თომას ასული. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე. ზომა მიწისა 422 დეს. 1160 ოთხ კუთხი საქ. ტბილ. გუბ. გო-რის მაზრაში სოფ. ლვარებში თანე ვალი 3829 მ. 12 კ. შემოსატ. გა-რდასახ 179 მ. 60 კ —სულ 4008 მ. 72 კ.

**პატენია,** ვასილი ივანეს ძე. სა-ხნავი მიწები და სასახლე ადგილები. ზომა მიწისა 18 დეს. 1800 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბ., გორის მაზრაში სოფ. პატარა თამარაშენში. თანე ვალი 1466 მ. 67 კ. შემო-სატ. გარდასახ. 73 მ. 60 კ.—სულ 1540 მ. 27 კ.

**ნათიევისა,** სოფიო ვაბრიელის ასული. ბლი და ვენახი ზომა მიწი-სა 2 დეს. 100 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბ. ლუშეთის მაზრაში სოფელს დამალაში. თანე ვალი 1268 მ. შემოსატ. გარდასახ. 377 მ 83 კ.—სულ 1644 მ 83 კ.

**ზანდუკელი,** ოტია გიორგის ძე. ვენახი 7 დეს. ტფილისის გუბ. ლუშე-თის მაზრაში სოფელს არაგვის პირ-ში, თანე ვალი 1268 მ. შემოსატ. გარდასახ. 117 მ. 73 კ.—სულ 1385 მ. 73 კ.

**ავალოვისა,** ოლგა ედუარდის ასუ-ლი. ორი ვენახი 5 დეს. 600 ოთხ კუთხი საქ. ტფილისის გუბ. სიღნა-ღის მაზრაში სოფელს ჩუმლაში. თანე ვალი 2 000 მ შემოსატ. გა-რდასახ. 337 მ. 24 კ.—სულ 2 337 მ 24 კ.

ისეიდება მოსე ჯანაშვილის მიეცე შედგენილი წიგნები:

**საქართველოს მოკლე ისტორია**

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მო-წონებულია.)

**საქართველოს სამკლესი ისტორია**

ფასი 45 კაპ.

**მეცხალი**

ფასი 7 კაპივი.

შემდეგს ადგილებში: ტფილის-ში: გრიქოროვისა და ჩარკვიანის წიგნის მალაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილა-ძის მალაზიში. თეაგში: ვ. როს-ტომავილითან; ხადნაშა: ვ. ქიტია-შვილითან; სურამში: ა. ქარსიძეს-თან; ფოთში: სუმარაძესთან. ყვა-რაღაში ბლოდ. დამამიძესთან. ვინც 20 ცაღს და გამოცემი-სას დაიბარებს პირ-და-პირ გამო-მცემელისაგან (Тифлесь Михайл. ул. Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმება. შაურად. (10—8)